უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში ოიდიპოსის კომპლექსი, როგორც პიროვნების განვითარების თავისებურება და მისი კავშირი ქცევის რეგულაციასთან

მარიამ ბიაშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ქეთევან მაყაშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2014

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში ოიდიპოსის კომპლექსი, როგორც პიროვნების განვითარების თავისებურებები და მისი კავშირი ქცევის რეგულაციასთან.

თეორიულ ნაწილში მოცემულია ოჯახის დეფინიციები, თეორიები, მშობლებისა და შვილების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, ოიდიპოსის კომპლექსის ცნების განსაზღვრა, ნებელობითი ქცევა.

სამუშაო ჰიპოთეზა ასე ჩამოყალიბდა: უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებში, რომლებსაც აქვთ გადაულახავი ოიდიპოსის კომპლექსი, სავარაუდოდ ექნებათ დაბალი აკადემიური მაჩვენებელი და ქცევის რეგულაციასთან დაკავშირებული პრობლემები.

კვლევა ჩატარდა ორ ეტაპად:

პირველ ეტაპზე გამოკვლეულ იქნა 15 ზარმაცი (ბიჭი და გოგო) და 15 ბეჯითი (ბიჭი და გოგო) მოსწავლე, სულ 60 პირველკლასელი. 30 გოგონა და 30 ვაჟი. იგი მიზნად ისახავდა იმის გარკვევას აქვთ თუ არა დაბალი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვებს გადალახული ოიდიპოსის კომპლექსი (რომელიც პიროვნების განვითარებაში დიდ როლს თამაშობს). ანალოგიურად იგივე მიზანი იყო მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვებში. საკვლევ მასალად გამოყენებული იყო ფსიქოანალიტიკური თეორიის საფუძველზე შექმნილი პროექციული ტესტი- Blacky Pictures, რადგან პიროვნების განვითარებაში თუ რა შინაგან ბრძოლებზე მიდის საუბარი, ამას ფსიქოდინამიკური თეორიები ჰფენენ ნათელს. სწორედ ეს უკანასკნელი გვთავაზობს იმ მეთოდებსა და გზებს, რომლებიც ბავშვის შინაგანზე უფრო მეტად გვაქცევინებს ყურადღებას და უფრო მეტად ინტერესდება შინაგანი დაპირისპირებებით.

კვლევის მეორე ეტაპზე ჩატარდა მარშმალოუს ტესტი, (ქცევაზე დაკვირვება) რომელიც მიზნად ისახავდა ბავშვის იმის გარკვევას, არის თუ არა კავშირი ოიდიპოსის მდგომარეობასა (გადაულახავ/გადალახულ) და ნებელობით ქცევას შორის.

შედეგებმა აჩვენა, რომ გადაულახავი ოიდიპოსის მქონე ბავშვებს აქვთ დაბალი აკადემიური მოსწრება და პრობლემები ქცევის რეგულაციასა და ნებისყოფასთან დაკავშირებით.

მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვებს არ აქვთ ნებისყოფასთან და ქცევის რეგულირებასთან დაკავშირებული პრობლემები და გადალახულად ჩაითვალა აღნიშნული კომპლექსი.

კვლევამ დაადასტურა, რომ დაბალი და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე ბავშვებში განსხვავებულია ოიდიპოსური მდგომარეობა და ქცევის რეგულაცია.